

შპს მიგეუს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ძირითადი საშუალებები	11
5. ფული და დულის ექვივალენტები	12
6. თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	12
7. პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები.....	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს მიგქს ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	169,905	218,377
		169,905	218,377
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები		248	1,080
სავაჭრო მოთხოვნები		1,009,244	-
ფული და ფულის ექვივალენტები	<u>5</u>	397,655	54,816
სულ მიმდინარე აქტივები		1,407,147	55,896
სულ აქტივები		1,577,052	274,273
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		806,760	255,954
სულ კაპიტალი		806,760	255,954
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		6,855	1,352
სავაჭრო ვალდებულებები		7,056	16,967
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	<u>6</u>	756,381	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		770,292	18,319
სულ ვალდებულებები		770,292	18,319
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,577,052	274,273

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 პრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ევგენი კოლესნიკოვი

7 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიგქს ჯორჯია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		4,162,209	2,129,417
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	<u>7</u>	(3,292,497)	(1,683,982)
სხვა საოპერაციო ხარჯები	<u>8</u>	(220,133)	(182,914)
ცვეთის ხარჯი		(106,682)	(53,671)
საოპერაციო მოგება	-	542,897	208,850
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		1,254	(401)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		6,655	(20,508)
წმინდა მოგება		550,806	187,941
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		550,806	187,941

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ევგენი კოლესნიკოვი



7 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიგეკს ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

შპს მიგეკს ჯორჯია
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	68,013	68,013
წლის მთლიანი მოგება		187,941	187,941
გაცემული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	255,954	255,954
წლის მთლიანი მოგება		550,806	550,806
გაცემული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	-	806,760	806,760

7 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიგექს ჯორჯია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	550,806	187,941
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	106,682	53,671
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	1,221	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი	(6,655)	20,508
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	652,054	262,120
გადახდილი ავანსების ცვლილება	832	9,668
სავაჭრო მოთხოვნების ცვლილება	(1,002,321)	1,631
სავაჭრო ვალდებულებების ცვლილება	(9,914)	12,441
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	5,503	(11,097)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულების ცვლილება	756,381	(36,569)
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	402,535	238,193
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	(59,432)	(244,893)
ფულადი ნაკადების წმინდა გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(59,432)	(244,893)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა/ (შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	343,103	(6,700)
გაცვლითი კურსის ეფექტი	(264)	(22,035)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	54,816	83,551
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	397,655	54,816

7 - 13 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიგექს ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს მიგექს ჯორჯიას მიერ (შემდგომში „კომპანია“), რომელიც წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 12 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა, N5ა, სართული 1, კომერციული ფართი N7. „MIGx Georgia“ მოქმედებს როგორც რესურსების ბაზა MIGx ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის გლობალური მატრიცისთვის და მონაწილეობს MIGx Groups-ის პროექტებში თანამშრომლების უნარებისა და ხელმისაწვდომობის საფუძველზე.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი არის:

მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება MIGx GmbH, CHE-195.359.285/ შვეიცარია/, 31.01.2020	100%	100%

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწრას.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფები და სასარგებლო მომსახურების ვადები

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
ოფისის აღჭურვილობა	3

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

შპს მიგექს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება.

დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგების აღიარება ხდება მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, გაწეული ხარჯების პროპორციულად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შპს მიგექს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იჯარით აღებული ქონება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 იანვარი 2023	-	10,296	21,512	31,808
შემოსვლა	127,740	67,611	49,542	244,893
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	127,740	77,907	71,054	276,701
შემოსვლა	7,088	41,039	11,305	59,432
გასვლა	-	-	(3,922)	(3,922)
31 დეკემბერი 2024	134,828	118,946	78,437	332,211
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2023	-	(874)	(3,780)	(4,654)
წლის ცვეთა	(23,151)	(14,258)	(16,262)	(53,671)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(23,151)	(15,132)	(20,041)	(58,324)
წლის ცვეთა	(44,379)	(39,025)	(23,278)	(106,682)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	2,701	2,701
31 დეკემბერი 2024	(67,531)	(54,157)	(40,619)	(162,306)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	104,589	62,775	51,012	218,377
31 დეკემბერი 2024	67,297	64,789	37,818	169,905

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	394,848	321
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	2,807	54,495
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	397,655	54,816

6. თანამშრომლების მიმართ ვალდებულება

თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელი ბონუსები	(633,646)	-
გადასახდელი ხელფასები	(122,551)	-
სხვა ვალდებულებები	(185)	-
სულ თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	(756,381)	-

7. პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები 2024 და 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დარიცხული ხელფასები / ბონუსები	3,164,905	1,572,210
თანამშრომლების სარგებელი	63,140	51,385
დაზღვევის ხარჯი	51,133	46,137
მივლინების ხარჯი	7,916	12,343
საპენსიო ხარჯი	2,474	1,908
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,928	-
სულ პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	3,292,497	1,683,982

შპს მიგექს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
იჯარის ხარჯი*	104,588	71,349
საკონსულტაციო ხარჯი	59,967	67,391
კომპიუტერებთან დაკავშირებული ხარჯი	22,269	13,857
კომუნალური ხარჯი	16,920	7,829
საგადასახადო ხარჯი	4,749	9,961
კომუნიკაციის ხარჯი	4,307	3,250
საერთო საოფისე ხარჯი	2,907	2,763
საბანკო ხარჯი	501	518
სხვა ხარჯი	3,925	5,997
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	220,133	182,914

*იჯარის ხარჯი მსს ფასის შესაბამისად აღიარებულია საოპერაციო იჯარად. არ ხდება ფასს 16-ის მიხედვით აქტივის გამოყენების უფლების გაანგარიშება.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.